წესები და პირობები

ზოგადი განმარტებები

კომპანია - Namespace.ge (შპს "World Wide Web Intelligence" - ს/კ 404920190)

მომხმარებელი - იურიდიული ან ფიზიკური პირი

გთხოვთ ყურადღებით გეცნოთ სერვისებით სარგებლობის წესებს და პირობებს და დარწმუნდეთ, რომ თქვენთვის მისაღებია მისი თითოეული პუნქტი და ეთანხმებით მას.

"Namespace.ge"-ს სერვისით სარგებლობის დროს თქვენ ავტომატურად ეთანხმებით წინამდებარე "სერვისით სარგებლობის წესებს", რომელიც არის გამოქვეყნებული "Namespace.ge"-ს ვებ-გვერდზე.

"Namespace.ge" იტოვებს უფლებას, ერთპიროვნულად მიიღოს სერვისის დაუყოვნებლივ შეწყვეტის გადაწყვეტილება ნებისმიერი ისეთი ფაქტის დროს, რომელიც შესაძლებელია შეფასდეს, როგორც "სერვისით სარგებლობის წესების" დარღვევა.

სარჩევი

ჰოსტინგის მომსახურება **3**

1. სერვერზე განთავსებული კონტენტი 3
2. ტექნიკური მხარდაჭერა 3
3. ანგარიშსწორება 4
4. სარეზერვო ასლები 4
5. სერვერული რესურსები 4

სერვისი - მაინც მინდა **5**

1. ჩასაფრება 5
2. დაიქირავე აგენტი 6

დომენების მარკეტი **6**

ჰოსტინგის მომსახურება

1. სერვერზე განთავსებული კონტენტი

მომხმარებელი არა აქვს უფლება გამოიყენოს "Namespace.ge"-ს მიერ მიწოდებული ჰოსტინგის სერვისი ისეთი მონაცემების გასავრცელებლად, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან. აკრძალულია "სპამის" დაგზავნა, Fishing და სხვა სახის არაკანონიერი კონტენტის განთავსება.

აკრძალულია დომენის გამოყენება და ჰოსტინგის სერვერებზე ისეთი ფაილების განთავსება, რომლებმაც შეიძლება ნებისმიერი სახის ზიანი მიაყენოს ადრესატს ან მესამე პირს (ფიშინგი, ვირუსების გავრცელება). აკრძალულია პორნოგრაფიის, ეროტიკის, ძალადობის შემცველი მასალების სერვერებზე განთავსება ან ნებისმიერი სახით გავრცელება. კომპანია იტოვებს უფლებას დროებით ან სამუდამოდ შეაჩეროს წვდომა რესურსზე (,საიტზე,სერვერზე,ანგარიშზე), რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მავნედ, რესურსის მფლობელის მიერ პრობლემის მოგვარებამდე.

2. ტექნიკური მხარდაჭერა

"Namespace.ge"-ს ნებისმიერი მომხმარებლისთვის მოქმედებს ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი. ჩვენი ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებთან დაკავშირება შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე support@namespace.ge

მოქმედებს გარკვეული წესები, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, ტექნიკური დახმარების მოთხოვნის დროს:

- წერილი აუცილებლად უნდა იქნას გამოგზავნილი იმ ელექტრონული ფოსტიდან, რომელიც მიუთითეთ ჰოსტინგის შეკვეთის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებს აკრძალული აქვთ რაიმე ცვლილების შეტანა მომხმარებლის ანგარიშში/ფაილებში/კონფიგურაციაში;

- პრობლმა უნდა იყოს დეტალურად აღწერილი. ეს გაადავილებს პრობლემის დიაგნოსტირებას და შეამოკლებს დროს, პრობლემის გადასაჭრელად.

- ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლები იმუშვაბენ თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად მაქსიმალურად წრაფ დროში.

3. ანგარიშსწორება

მომხმარებელი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება იმ სატარიფო გეგმის შესაბამისად, რომელიც მას აქვს არჩეული.

იმ შეთხვევაში თუ, ანგრიშწორება სერვისის ღირებულებისთვის, არ გახორციელდება სერვისი ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში, თქვენი ანგარიში სერვერებზე ავტომატურად დაიხურება და ფაილების აღდგენა შეუძლებელი იქნება.

“ჰოსტინგის” მომსახურების გაუქმება: მომსახურების გაუქმება ხდება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და სერვისის მომსახურების ღირებულება უკან არ ბრუნდება.

“ჰოსტინგის” მომსახურების ტიპები განსაზღვრულია პაკეტებით. პაკეტების შესახებ დეტალური ინფორმაციითვის ეწვიეთ ბმულს.

4. სარეზერვო ასლები

"Namespace.ge" ანხორციელებს მომხმარებლების მიერ სერვერებზე განთავსებული (ატვირთული) ფაილების სარეზერვო ასლების შენახვას, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან თავის დაზღვევის მიზნით. მიუხედავად ამისა, რადგან არ არსებობს 100%-იანი გარანტია ფაილების არდაზიანების ან/და არწაშლის, მომხმარებელი ვალდებულია პერიოდულად მოახდინოს სერვერებზე ატვირთული ინფორმაციის სარეზერვო კოპირება მის პირად სივრცეში და არ დატოვოს ასლები მხოლოდ სერვერებზე. "Namespace.ge" არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის მხრიდან სერვერებზე განთავსებული ფაილების დაკარგვაზე. "Namespace.ge" უწევს რეკომენდაციას მომხმარებლებს, სარეზერვო ასლების შენახვის პერიოდულობა იყოს მინიმუმ კვირაში ერთხელ.

5. სერვერული რესურსები

მომხმარებლის მხრიდან სერვერული რესურსების გადაჭარბებით მოხმარების აღმოჩენის შემთხვევაში, "Namespace.ge" ეცდება დაეხმაროს მომხმარებელს პრობლემის აღმოფხვრაში, მაგრამ ამასთანავე, იტოვებს უფლებას დროებით ან სამუდამოდ შეაჩეროს მომხმარებლისთვის სერვისის მიწოდება, თუ არ მოხერხდა პრობლემის გადაწყვეტა, რის გამოც შეფერხებით მუშაობენ სხვა მომხმარებლები.

"ჰოსტინგ" პაკეტებში გათვალისწინებული ლიმიტები იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე.

იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტული პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნებს, შეგიძლიათ ისარგებლოთ ვირტუალური ან ფიზიკური სერვერებით , სადაც პარამეტრების კონფიგურირება შესაძლებელია ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

სერვისი - მაინც მინდა

1. ჩასაფრება

სერვისით სარგებლობის შემთხვევაში Namespace.ge განახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს დომენზე და გამოაგზავნის დომენის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების ანგარიშს კვირაში ერთხელ (ყოველ პარასკევს) ელ. ფოსტაზე. ანგარიშში გათვალისწინებული იქნება ინფორმაცია დომენზე ყველა ტიპის ცვლილების შესახებ და ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ დააკვირდეთ და შეისწავლოთ დომენის ქცევა..

დომენის გათავისუფლების შემთხვევაში მიიღებთ SMS შეტყობინებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ "ჩაუსაფრდი" არის სინფორმაციო ხასიათის სერვისი:

1. დომენის შესახებ მიღებთ მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.
2. დომენის გათავისუფლების შემთხვევაში არ ხდება წინასწარ დარეზერვება/დაკავება, თანახმად .ge ზონის წესებისა და პირობებისა.
3. დომენის გათავისუფლების კონკრეტული დროის წინასწარ დადგენა შეუძლებელია, ამიტომ სტატუსი მოწმდება ყოველ საათში ერთხელ. თუ შემოწმებებს შორის მოხდა დომენის გათავისუფლება და მესამე პირის მიერ მყისიერი შეძენა, შესაბამისი შეტყობინება არ გამოიგზავნება SMS სახით. ხოლო, ინფორმაცია აქტივობის შესახებ აისახება კვირის ანგარიშში.
4. სერვისის გაუქმება ხდება წერილობითი მომართვის საფუძველზე და თანხა უკან არ ბრუნდება.

მომსახურების ღირებულება: 8 ლარი წელიწადში.

2. დაიქირავე აგენტი

თუ დაინტერესებული ხართ დომენის შეძენით მისი არსებული მფლობელისგან, შეგიძლიათ, ისარგებლოთ სერვისით "დაიქირავე აგენტი". ჩვენი წარმომადგენელი დაუკავშირდება მფლობელს და გამართავს მოლაპარაკებას დომენის გაყიდვასთან დაკავშირებით.

"დაიქირავე აგენტით' სარგებლობისას გაითვალისწინეთ:

1. მომსახურება გულისხმობს მოლაპარაკების წარმოებას დომენის გაყიდვის შესახებ და მომსახურების ღირებულება არ ბრუნდება მიუხედად შედეგისა. მომსახურების გაწევა ხდება მოლაპარაკების დადებითი ან უარყოფითი შედეგის დადგომამდე;

2. დომენის მფლობელთან, სერვისის შეძენიდან 1 თვის განმავლობაში, ხორციელდება კომუნიკაციის დამყარების 3 მცდელობა (წერილობითი ან სატელეფონო), რის შემდეგაც გეცნობებათ შედეგები.

მომსახურების ღირებულება: 150 ლარი ერთჯერადად.

დომენების მარკეტი

Namespace-ის პლათფორმის საშუალებით, რომელზეც დომენს ყოველდღიურად ეძებს დიდი რაოდენობით მსურველი, შესაძლებლობა გაქვთ გაყიდოთ თქვენ მფლობელობაში არსებული დომენ(ებ)ი. ამისთვის საჭიროა პროფილში, დომენის დეტალებში გადახვიდეთ ღილაკზე "დომენის გაყიდვა" და განსაზღვროთ პირობები, რის შემდეგაც დომენი განთავსდება მარკეტში და ის ხელმისვდომი იქნება მსურველებისთვის.

დომენის გასაყიდად განთავსების დროს გაითვალისწინეთ შემდეგი გარემოებები:

1. დომენის გასაყიდად განთავსების პირობებს განსაზღვრავს მფლობელი და namespace არ იღებს პასუხისმგებლობას მის რეალიზებაზე

2. მარკეტში დომენის განთავსება უფასოა. განთავსების საკომისიოს მფლობელი იხდის მხოლოდ დომენის გაყიდვის შემთხვევაში და მარკეტში განთავსების მომსახურების საკომისიო შეადგენს დომენის ღირებულების 10%-ს.

3. დომენის გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია დომენის მფლობელი

4. დომენის გაყიდვისას მყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას კომპანია namespace-ის ანგარიშზე, საიდანაც დომენის მფლობელთან თანხის გადარიცხვა განხორციელდება 3 სამუშაო დღის განმავლობაში

5. დომენის გაყიდვის შემდეგ, დომენი დატრანსფერდება ახალ მფლობელთან კომპანია namespace-ს მიერ, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ანგარიშსწორება დომენის ძველ მფლობელთან

6. ტრანსფერის დროს ჩანაცვლდება მხოლოდ დომენის ძველი მფლობელი მონაცემები ახალი მფლობელის მონაცემებით